საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) 204-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ბრალდებული, რომელიც არის წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის ან სარეზერვო სამხედრო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს განჩინებით შეიძლება გადაცემულ იქნეს სამხედრო ნაწილის, სამხედრო შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

21 სექტემბერი 2023 წ.

N3537-XIIIმს-Xმპ